,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ფრაქცია,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარის
მარეხ ნიჟარაძის, საანგარიშო შეხვედრის

ოქმი N 1

17 ნოემბერი, 2022 წელი, 17:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქი ქუთაისი, ხარაზოვის ბაღი

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები, 200 მოქალაქე. საანგარიშო შეხვედრა გამართა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრმა ფრაქცია ,,ქართული ოცნების''თავმჯდომარემ ქალბატონმა **მარეხ ნიჟარაძემ.** საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ფრაქცია ,,ქართული ოცნების''თავმჯდომარის მოადგილეები,ბატონები:დიმიტრი მხეიძე,ჯემალ ბიბილეიშვილი.საკრებულოს თვმჯდომარე ბატონი ირაკლი შენგელია,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მედიასა და საზოგადოების ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი ნინო კაკაბაძე,,ფრაქცია ქართული ოცნების'' თავმჯდომარის თანაშემწე თეონა წიწილაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა, მარეხ ნიჟარაძემ და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

საკრებულოს წევრის, მარეხ ნიჟარაძის 2022 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი- **საკრებულოს წევრის, ფრაქცია ,ქართული ოცნების''თავმჯდომარის მარეხ ნიჟარაძის 2022 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.**

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე.** მან აღნიშნა:

მოგეხსენებათ, რომ მე, როგორც ქალაქ ქუთაისის საკრებულოში (ყოველდღიურად) ასევე (როგორც საკრებულოს წევრს და ფრაქციის თავმჯდომარეს) მაქვს ორგანიზებული შეხვედრა მოსახლეობასთან. ასევე ხშირია გასვლები უბნებსა და ბაღებში,სადაც შესაძლებელია მიმდინარე სამუშაოების კონტროლი, ადგილზე მოსახლეობის პრობლემის, მოსაზრებებისა და შენიშვნების მოსმენა. ამ სახის შეხვედრების დროს მოსახლეობა ითხოვს სხვადასხვა სახის დახმარებას და იკვეთება არაერთი პრობლემა.

2022 წელს საანგარიშო პერიოდში მიღებულია 153 მოქალაქე,ისინი მოგვმართავენ სხადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით.მათი პრობლემის უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად, ნაწილი კი მოგვარების პროცესშია. ყოველთვის ვცდილობ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და ვეძიო გზები მოგვარებისთვის.

აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს კომისიების (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის,განათლების,ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის) სხდომებში:

- საკრებულოს,საკრებულოს ბიუროს 13 რიგით და 4 რიგგარეშე სხდომა
- საკრებულოს კომისიის 17 სხდომა ,სადაც განხილული იქნა 35 საკითხი აქედან:
- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 სხდომა განხილული იქნა 25 საკითხი
- საკრებულოს კულტურის,განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 8 სხდომა განხილული იქნა 10 საკითხი

როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების''თავმჯდომარეს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მაქვს ფრაქციის 14 სხდომა,რომელზეც განხილული იქნა

- ინფრასტრუქტურული პტოექტები
- პროექტები პრიორიტეტების მიხედვით

ინფრასტრუქტურული პროექტები
ქუთაისი 2022
ობიექტის ჯამური რაოდენობა: 932ობიექტი
ჯამური ღირებულება: 61,9 მლნ ლარი

დაფინანსების წყაროების მიხედვით

1.რგპფ
ობიექტის ჯამური რაოდენობა: 400 (მათ შორის :362 სადარბაზო)
ჯამური ღირებულება: 10,4 მლნ ლარი

2.სრიგპ
ობიექტის ჯამური რაოდენობა: 146(მათ შორის:10 მიკროავტობუსი და 108 ტაბლო)
ჯამური ღირებულება: 27,8მლნ ლარი

3.სტიქიის ფონდი
ერთი ობიექტი (გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხი)
ღირებულება : 340 ათასი

4.მგფ

ერთი პროექტი

პროექტის ღირებულება 2,9 მლნ ლარი

5.მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტი

პროექტების ჯამური რაოდენობა: 303

ჯამური ღირებულება (პროექტირებისა და ექსპლოატაციის ჩათვლით):20,5 მლნ ლარი

კერძოდ:

- გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია-სულ 25 ობიექტი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია-25ობიექტი
- მრავალსართულიანი საცხოვრებელის ახლების ლიფტების რეაბილიტაცია-35ობიექტი
- სადარბაზოების რეაბილოტაცია-456ობიექტი
- სკვერების რეაბილიტაცია-18ობიექტი
- სპორტული ინფრასტრუქტურა-3ობიექტი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-25ობიექტი
- სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-4ობიექტი

სულ ქალაქში მიმდინარე წელს მოეწყო 4 სანიაღვრე სისტემა ტ.ტაბიძის ქუჩა

ლესელიძის ქუჩიდან რუას ქუჩის N2-მდე სანიაღვრეს მშენებლობა,ჩხობაძის ქუჩის სანიაღვრეს მშენებლობა და ე.წ თამარას ღელეს (სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია.

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია-20
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია-30
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა

ძელსკამი-104 ერთეული

ატრაქციონი-1 ერთეული

ფანჩატური-4 ერთეული

1. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია კერძოდ:N24 ბაგა ბაღის ფასადის რეაბილიტაცია
2. სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია

✓ ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია
✓ მეოთხე სამუსიკო სკოლის გათბობის სისტემა და შიდა სივრცეების რემონტი

- სხვადასხვა სახეობების სპორტულ-გამაჯანსაღებელ და დასდასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია.რაოდენობ-ა27

✓ მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია
✓ ე.წ. შვიდკაცა ფეხბურთის მოედნის მშენებლობა

1.მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა_გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი,ქანობიანი)კაპიტალური შეკვეთა

რაოდენობა-185 ობოიექტი
2.მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა
ტუმბოების რაოდენობა-30,0 ათასი ლარი

- თავისუფალი ინიციატივების განხორციელება
  ობიექტის რაოდენობა-16
  ჯამური ღირებულება- 958 ათასი ლარი.

  დასრულდა ნიკეას .N60 არსებულ ბინასთან დახურული საბოილერო თხრილის დემონტაჟისა და ბეტონის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 23776,96 ლარი(24.03.2022წლის N132 ხელშ.).
  მიმდინარეობს რ.თაბუკაშვილის ქ.N32-ში სკვერის მოწყობისა და ავალიანის N16-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებებით 175174,75 ლარი(09.03.2022წლია N99ხელშ.).

- მრავალსართულიანი სახლების ლიფტების
- ობიექტების რაოდენობა_18
- ჯამური ღირებულე-217ათასი ლარი

3.მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი,ქანობიანი) კაპიტარული შეკვეთა
ობიექტების რაოდენობა-47
ჯამური ღირებულება-1.4 მლნ ლარი

- სადღესასწაულო ღონისიების ტექნიკური უზრუნველყოფა-300ათასი ლარი
- შადრევნის ექსპლოატაცია-530ლარი
- კაპიტალური სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა(საზედამხედველო მომსახურება)-600ათასი ლარი
- საპროექტო დოკუმენტაციის შეძენა-850ათასი ლარი

- **4**.სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია-150 ათასი ლარი

- **5**.ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა

  რაოდენობა-26

  6.მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა

  რაოდენობა-7

განსაკუთრებით მინდა ყურადღება გავამახვილო ტ.ტაბიძის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების თაობაზე,რომლის მთლიანი ღირებულება 186,3ათას ლარს შეადგენს,სადაც საუკუნოვანი პროექტი მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემის შეცვლასთან ერთად,მიმდინარეობს ტერიტორიის სავალი ნაწილის სრულად განახლება,იქ არსებული ძველი ფილები კი მოსახლეობას გადაეცა მათი მოთხოვნისა და სურვილის შესაბამისად.

ქალაქში დაგეგმილ თითქმის ყველა ღონისძებაში ვღებულობ მონაწილეობას ,ვხვდები არასამთავრობო ორგანიზაციებს, მონაწილეობას ვიღებ მათ მიერ დაგეგმილ ტრენინგებში ,ხშირად მიწევს ქალაქის ადგილობრივ ტელეკომპანიების გადაცემაში მონაწილეობის მიღება და ინტერვიუები,ასევე ვარ საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი,როგორც ავღნიშნე ინტენსიურად ვარ ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს,მე, როგორც საკრებულოს წევრი და ფრაქცია ,,ქართული ოცნების''თავმჯდომარე ნებისმიერი საქმიანობის პროცესში ჩემი მთავარი პრიორიტეტი იქნება, იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარება,რომელიც აწუხებს ჩვენს მოსახლეობას.

ნდობის მაღალი მანდატი,რომელიც განპირობებულია თქვენი მხრიდან ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას და საქმიანობას თითოეული თქვენგანის მიმართ. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.მე მჯერა,რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო ძლიერი და ნაყოფიერი იქნება.

შეხვედრაზე აზრი გამოთქვეს,დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მოქალაქე **ჯემალი სანიკიძე-** აღდგება თუ არა 16 ნომერი სამარშუტო ტაქსი?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ბატონი **ირაკლი შენგელია:**

,,მუნიციპალური ტრანსპორტის შემოყვანის შემდგომ ,სამარშუტო ტაქსების რაოდენობა შემცირდა,მიმდინარეობს მოლაპარაკება სვლა გეზების დამატების შესახებ დ სხვა სატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლების შესახებ.

მე-14 ბაგა-ბაღის წარმომადგენელი **სოფიო გარდაფხაძე-** ,,გვჭირდება ბაგა-ბაღის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ,გვაქვს დარბაზის და ეზოს პრობლემა.რით შეგიძლიათ დაგვეხმაროთ?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე**:,, განხილვაშია ეს საკითხი და განხილვის შემდეგ გვექნება ზუსტი პასუხი.

მაია არაბიძის მიერ იყო დასმული შეკითხვებბი, ჯანდაცვის, სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით,რაზეც ამომწურავი პასუხი გასცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ბატონმა **დიმიტრი მხეიძემ.**

შეხვედრის ბოლოს გაწეული სამუშაოსათვის ქალბატონ **მარეხი ნიჟარაძეს** მადლობა გადაუხადეს მოქალაქეებმა:**ლამარა ნანიკაშვილმა , ზაირა რობაქიძემ,ლილი ჭეიშვილმა** და ა.შ. ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალბატონ **მარეხი ნიჟარაძის** 2022 წლის(იანვრის თვიდან ნოემბრის თვის ჩათვლით) საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთრაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

მარეხი ნიჟარაძე